



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ  
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს  
სამოქმედო გეგმა  
(2020-2022)

დამტკიცებულია  
რექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის №971 ბრძანებით

2019  
თბილისი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სამოქმედო გეგმა ასახავს იმ ქმედებებს, რომლის განხორციელებასაც აპირებს უნივერსიტეტი გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2020-2026) პირველი სამი წლის განმავლობაში. ამ ქმედებათა საშუალებით, ჩვენ ვისწრაფით დასახული ხედვისა და მისიის მისაღწევად, რაც სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველს წარმოადგენს.

### საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მისიაა:

შექმნას საერთაშორისოდ ცნობადი, სტუდენტსა და მის წარმატებაზე ორიენტირებული, თანამედროვე სტანდარტების მქონე აკადემიური გარემო, რომელიც სტიმულს აძლევს სწავლას, სწავლებასა და კვლევას, შესაბამისად, ყველას უქმნის საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზების შესაძლებლობას და ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიან სპეციალისტებს შრომის ბაზრისათვის.

ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლების უზრუნველყოფა, ინოვაციური და მოქნილი მიდგომების გამოყენება სტუდენტებისა და საზოგადოების სხვადასხვა საჭიროებისა და მოთხოვნის საპასუხოდ, მომავალი ტენდენციების განჭვრეტა და ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსირება, სეუ-ს მუდმივი მიზანია.

**ჩვენი დევიზია:** გაუსწარი დროს! Bissenos tempus!

### სეუ-ს ძირითადი ღირებულებებია:

- აკადემიური თავისუფლება
- სრულყოფილებისკენ სწრაფვა
- აკადემიური კეთილსინდისიერება
- სოციალური პასუხისმგებლობა
- სამართლიანობა
- ურთიერთპატივისცემა
- ერთგულება
- პატრიოტიზმი

### სეუ-ს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- სტუდენტზე ორიენტირებულობა
- მასტიმულირებელი გარემოს უზრუნველყოფა
- შესაძლებლობათა შეთავაზება
- ინოვაციურ გადაწყვეტილებათა შეთავაზება
- საზოგადოებისა და სტუდენტების მომსახურება
- მომავალზე ორიენტირებულობა

- საკუთარი საქმიანობის ევროპულ ღირებულებებთან შესაბამისობა

სეუ, მისიის მისაღწევად, ყურადღებას გაამახვილებს სამ სტრატეგიულ პრიორიტეტზე, რომელიც ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია:

1. ბრენდის იმიჯის გაუმჯობესება;
2. კვლევების გაფართოება;
3. ინოვაციური სასწავლო შეთავაზებების ზრდა და გაფართოება.

სამი სტრატეგიული პრიორიტეტის მისაღწევად, სეუ-მ განსაზღვრა სამი ჯვარედინი პრიორიტეტი (Cross-Cutting Priorities):

- A. მეტი და მაღალკვალიფიცირებული პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება;
- B. მართვის გაძლიერება;
- C. მრავალფეროვანი სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა.

სამოქმედო გეგმაში გამოიყო კონკრეტული ქმედებები, რომელთა განხორციელება დაგეგმილია სტრატეგიული დაგეგმვის პერიოდის პირველი სამი წლის განმავლობაში. ეს ქმედებები ემყარება მთავარ სტრატეგიულ ინიციატივებს, რაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში, თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტისა და ჯვარედინი პრიორიტეტების შესაბამისად.

### სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ბრენდის იმიჯის გაუმჯობესება

ბრენდის იმიჯის გაუმჯობესების მიზნით, სტრატეგიული განვითარების გეგმაში განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. ნათელი და გასაგები იმიჯისა და ბრენდის ცნობადობის ჩამოყალიბება;
2. სეუ-ს მიღწევებისა და საქმიანობის შესახებ ეფექტური ინფორმირება;
3. მეტი და უკეთესი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მოზიდვა;
4. კურსდამთავრებულთა ქსელის გაძლიერება.

კერძოდ, 2020-2022 წლებში, სეუ მხარს დაუჭერს სტრატეგიულ ინიციატივებს შემდეგი ქმედებებით:

#### 1.1 ნათელი და გასაგები იმიჯისა და ბრენდის ცნობადობის ჩამოყალიბება

##### აქტივობები:

- 2020 წლის სექტემბრისთვის, შეფასდება სეუ-ს იმიჯის შესახებ შიდა და გარე აღქმა;
- 2020 წლის ოქტომბრისთვის, შემუშავდება გეგმა, რათა საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში სეუ-ს წვლილის შესახებ;

- 2020 წლის დეკემბრისთვის, შემუშავდება ყოვლისმომცველი მარკეტინგული სტრატეგია;
- 2020 წლის ნოემბრისთვის, განახლდება ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსია;
- 2020 წლის ნოემბრისთვის, ჩამოყალიბდება სოციალური მედიის სპეციალური კამპანიები, ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- 2021 წლის მარტისთვის, შემუშავდება ბრენდის იდენტობის სპეციფიკური გეგმა, რომელიც ემყარება მარკეტინგულ სტრატეგიას;
- 2022 წლის ივლისისთვის, შემუშავდება კონცეფცია საბავშვო უნივერსიტეტის კვირეულისთვის;
- 2022 წლის აპრილისთვის, გაიხსნება საუნივერსიტეტო მაღაზია ბრენდირებული პროდუქციისთვის;
- მუდმივად მოეწყობა სხვადასხვა მიზნობრივ აუდიტორიაზე მორგებული პიარლონისძიებები.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

**სავარაუდო ბიუჯეტი:** 400 000 ლარი

**ინდიკატორები:**

- შიდა დაინტერესებული მხარეების მიერ რეპუტაციისა და აღქმის დონე;
- გარე დაინტერესებული მხარეების მიერ რეპუტაციისა და აღქმის დონე;
- პიარლონისძიებების რაოდენობა;
- ინტერაქციები სოციალური მედიის მეშვეობით;
- ინგლისურენოვანი ვებგვერდის გამოყენება;
- შემუშავებული ბრენდინგის იდენტობის გეგმა;
- შემუშავებული და დამტკიცებული მარკეტინგული სტრატეგია.

## 1.2. სეუ-ს მიღწევებისა და საქმიანობის შესახებ ეფექტური ინფორმირება

**აქტივობები:**

- 2021 წლის ივნისისთვის, შემუშავდება გარე კომუნიკაციის გეგმა;
- 2021 წლის მარტისთვის, დაიწყება საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება, სეუ-ს წარმატებებისა და მიღწევების შესახებ;
- 2021 წლის მაისისთვის, შემუშავდება ვებგვერდის სექციები თითოეული ფაკულტეტისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის, რომელიც ასახავს მათ მიღწევებს.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

სავარაუდო ბიუჯეტი: 100 000 ლარი

ინდიკატორები:

- შემუშავებული გარე კომუნიკაციის გეგმა;
- საინფორმაციო ბიულეტენის გამომწერები (გარე და შიდა);
- ვებგვერდზე პროფესორ-მასწავლებელთა შევსებული პროფილების პროცენტი.

### 1.3. მეტი და უკეთესი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მოზიდვა

აქტივობები:

- 2020 წლის ივნისისთვის, გამოიყენება სპეციფიკური სარეკლამო სტრატეგია საგანმანათლებლო პროგრამების ბაზარზე გასატანად;
- 2021 წლის ივნისისთვის, დაიწყება ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებზე სტრატეგიულად დასწრება;
- 2021 წლის მარტისთვის, შემუშავდება პარტნიორობა ადგილობრივ სკოლებთან, რათა იყვნენ ინფორმირებულები სეუ-ში სწავლისა და კარიერული შესაძლებლობების შესახებ.

სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

სავარაუდო ბიუჯეტი: 200 000 ლარი

ინდიკატორები:

- შემუშავებული, დამტკიცებული და განხორციელებული სარეკლამო სტრატეგია;
- საგანმანათლებლო გამოფენებზე დასწრებათა რაოდენობა;
- აბიტურიენტთა რაოდენობა, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ სეუ-ს ეროვნულ გამოცდებზე;
- სტუდენტთა მიერ ეროვნულ გამოცდებში მიღებული საშუალო ქულა;
- სტუდენტების რაოდენობა სტუდენტების კონტიგენტთან მიმართებაში;
- საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობა.

### 1.4. კურსდამთავრებულთა ქსელის გაძლიერება

აქტივობები:

- 2020 წლის აპრილისთვის, ჩატარდება კვლევა კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების შესახებ;
- 2021 წლის მარტისთვის, შეიქმნება კურსდამთავრებულთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზა;
- 2020 წლის სექტემბრისთვის, შემუშავდება კურსდამთავრებულებთან სტრუქტურირებული კომუნიკაციის გეგმა;

- 2020 წლის დეკემბრისთვის, დაიწყება სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობით;
- 2021 წლის ივნისისთვის, შეიქმნება ფორმალური სტრუქტურა კურსდამთავრებულთათვის;
- 2021 წლის დეკემბრისთვის, კურსდამთავრებულები ჩაერთვებიან პროგრამების მრჩეველთა საბჭოში;
- 2022 წლის ივნისისთვის, შეიქმნება ქსელი საერთაშორისო კურსდამთავრებულთათვის;
- 2022 წლის დეკემბრისთვის, შემუშავდება კურსდამთავრებულების წარმატების ისტორიები, მათი მარკეტინგში გამოყენების მიზნით.

### სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:

კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური

სავარაუდო ბიუჯეტი: 80 000 ლარი

### ინდიკატორები:

- შემუშავებული კომუნიკაციის გეგმა;
- კურსდამთავრებულებთან რეგულარული ინტერაქცია;
- სადისკუსიო შეხვედრების ღონისძიებათა რაოდენობა;
- კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან სეუ-ს საქმიანობაში;
- პროგრამების მრჩეველთა საბჭოში სეუ-ს კურსდამთავრებული წევრების პროცენტული მაჩვენებელი.

### სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამეცნიერო კვლევების გაფართოება

სტრატეგიული განვითარების გეგმაში, კვლევის პროფილის უფრო მეტად გაფართოების მიზნით, გამოიყო შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. კვლევითი საქმიანობის ადეკვატური ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
2. კვლევის პროდუქტიულობის ამაღლება;
3. აკადემიური პორტფოლიოს გაფართოება სადოქტორო პროგრამებამდე;
4. ეფექტური კვლევითი კლიმატის შექმნა.

კერძოდ, 2020-2022 წლებში, სეუ მხარს დაუჭერს სტრატეგიულ ინიციატივებს შემდეგი აქტივობებით:



## 2.1. კვლევითი საქმიანობის ადეკვატური ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა

### აქტივობები:

- 2020 დან 2022 წლამდე ყველა წარმოდგენილ ბიუჯეტში გაიზრდება კვლევის ბიუჯეტი;
- 2020 წლის ოქტომბრისთვის, შეიქმნება ინსტიტუციონალური კვლევის ფონდი;
- 2021 წლის ივნისისთვის, შემუშავდება კვლევითი მიღწევების წამახალისებელი სქემა.

### სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:

ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, ასევე ვიცე-რექტორი ფინანსებისა და რესურსების მიმართულებებით

სავარაუდო ბიუჯეტი: 650 000 ლარი

### ინდიკატორები:

- მთლიანი ბიუჯეტი კვლევითი საქმიანობებისთვის;
- კვლევის ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებელი მთლიან ბიუჯეტთან შედარებით;
- განაცხადები შიდა კვლევითი გრანტებისთვის;
- კვლევის წახალისების სქემის შემუშავება და დამტკიცება.

## 2.2. კვლევის პროდუქტიულობის ამაღლება

### აქტივობები:

- 2020 წლის ივნისისთვის, განისაზღვრება კვლევის პრიორიტეტები;
- 2020 წლის ივლისისთვის, შემუშავდება ყოვლისმომცველი კვლევის სტრატეგია;
- 2020 წლის აგვისტოსთვის, განისაზღვრება ინსტიტუციური და ინდივიდუალური კვლევითი მიზნები და დაუკავშირდება სამუშაოს შესრულების შეფასების შედეგებს;
- 2020 წლის ოქტომბრისთვის, განიხილება რეკრუტირების პროცესში კვლევისათვის წონის მინიჭება;
- 2020 წლის ნოემბრისთვის, შემუშავდება გეგმა სტუდენტური კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- 2020 წლის დეკემბრისთვის, შემუშავდება მიდგომა კვლევითი საქმიანობისადმი, უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით;
- 2021 წლის აპრილისთვის, შემუშავდება კონცეფცია კვლევითი კონფერენციების ორგანიზებისათვის;
- სისტემატიურად, შემუშავდება გეგმა პროფესორ-მასწავლებელთათვის კვლევის შესაძლებლობების შექმნის მიზნით;

- 2021 წლის სექტემბრისთვის, შემუშავდება სისტემატური პოლიტიკა სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით;
- 2022 წლის სექტემბრისთვის, Horizon Europe-ის მეშვეობით შეფასდება საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობისთვის მზაობა და მოთხოვნები.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**  
ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით

**სავარაუდო ბიუჯეტი:** 200 000 ლარი

**ინდიკატორები:**

- ახალი პროფესორ-მასწავლებლების კვლევითი გამოცდილება;
- სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა;
- პუბლიკაციები იმფაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში;
- პერსონალის რაოდენობა, რომელიც მონაწილეობს კვლევითი შესაძლებლობების გაზრდის ღონისძიებებში;
- კვლევებში აქტიურად მონაწილე პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი;
- ერთობლივი კვლევითი პროექტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

### 2.3. აკადემიური პორტფოლიოს გაფართოება სადოქტორო პროგრამებამდე

**აქტივობები:**

- 2022 წლის დეკემბრისთვის, შემუშავდება პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეხება სადოქტორო კვლევებს;
- 2022 წლის ოქტომბრისთვის, შემუშავდება კონცეფცია სადოქტორო პროგრამისთვის.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**

სამეცნიერო-კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახური

**სავარაუდო ბიუჯეტი:** 100 000 ლარი

**ინდიკატორები:**

- შემუშავებული სადოქტორო პროგრამების პოლიტიკა და პროცედურები;
- შემუშავებული და აკრედიტებული სადოქტორო პროგრამების რაოდენობა.

### 2.4. ეფექტური კვლევითი კლიმატის შექმნა

**აქტივობები:**

- 2020 წლის მაისისთვის, შეიქმნება კვლევის დარგში ვიცე-რექტორის აპარატი;
- 2020 წლის აგვისტოსთვის, შემუშავდება კვლევითი ეთიკის კოდექსი;



- 2020 წლის დეკემბრისთვის, განისაზღვრება რელევანტური კომპანიები კვლევითი თანამშრომლობისა და საკონსულტაციო საჭიროების განხილვის მიზნით;
- 2021 წლის აპრილისთვის, შემუშავდება კონცეფცია გარე კვლევითი კონსულტაციის მიზნით;
- 2021 წლის ოქტომბრისთვის, შემუშავდება სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიებისთვის კონცეფცია და გეგმები, რაც ასევე მოიცავს შესაბამის აღჭურვილობას;
- 2021 წლის მაისისთვის, გადაიხედება კურიკულუმის კონცეფცია, მეტი კვლევითი კომპონენტის ჩართვის მიზნით;
- 2021 წლის მაისისთვის, ჩატარდება დისკუსიები ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შორის კვლევის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;
- 2021 წლის ივნისისთვის, ჩატარდება დისკუსიები ხელმძღვანელობას, პერსონალსა და სტუდენტებს შორის კვლევის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;
- 2021 წლის სექტემბრისთვის, შეიქმნება სტარტაპების ჰაბი და ბიზნეს ლაბორატორია;
- 2022 წლის დეკემბრისთვის, შეიქმნება სპეციალური კვლევითი ცენტრი.

### სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:

სამეცნიერო-კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახური

სავარაუდო ბიუჯეტი: 300 000 ლარი

### ინდიკატორები:

- შექმნილი და ადამიანური რესურსით შევსებული ვიცე-რექტორის აპარატი კვლევის დარგში;
- შემუშავებული და ფართოდ ცნობილი კვლევის ეთიკის კოდექსი;
- შემუშავებული და კომპანიებისთვის წარდგენილი კვლევის საკონსულტაციო კონცეფცია;
- დაგეგმილი და დაფუძნებული კვლევითი ლაბორატორიები;
- გადახედილი კურიკულუმების რაოდენობა;
- კვლევითი საქმიანობისთვის ხელმისაწვდომი დრო;
- სტუდენტების გაუმჯობესებული კვლევითი უნარები და კომპეტენციები;
- ინდუსტრიასთან პარტნიორული ხელშეკრულებები გამოყენებითი კვლევების შესახებ;
- აქტიური კვლევითი პარტნიორობის რაოდენობა;
- კვლევითი ლაბორატორიების რაოდენობა;
- სტუდენტების კვლევითი ინფრასტრუქტურით კმაყოფილება;
- პერსონალის კვლევითი ინფრასტრუქტურით კმაყოფილება;
- დაარსებული კვლევითი ცენტრი.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 3: ინოვაციური სასწავლო შეთავაზებების ზრდა და გაფართოება

აკადემიური შეთავაზებების გაზრდის, გაფართოებისა და გაძლიერების მიზნით, სტრატეგიული განვითარების გეგმაში გამოიყო შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. აკადემიური პორტფოლიოს გაფართოება;
2. ინოვაციური კურიკულუმები და მათი განხორციელება;
3. საგანმანათლებლო შეთავაზებების გაფართოება.

კერძოდ, 2020-2022 წლებში, სეუ მხარს დაუჭერს სტრატეგიულ ინიციატივებს შემდეგი აქტივობებით:

### 3.1. აკადემიური პორტფოლიოს გაფართოება

აქტივობები:

- მულტივალდ, შემუშავდება ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
- 2020 წლის აგვისტოსთვის, გაანალიზდება ამჟამინდელი აკადემიური პორტფოლიო, შრომის ბაზრის ფართო კვლევების საფუძველზე;
- 2021 წლის მარტისთვის, ჩატარდება კვლევა ინგლისურენოვანი პროგრამების მოთხოვნის შესაფასებლად სხვადასხვა სფეროებში;
- 2021 წლის ივნისისთვის, გაფართოვდება პარტნიორობა ერთობლივი პროგრამების შეთავაზებისათვის ხედვის ჩამოყალიბების მიზნით;
- 2022 წლის სექტემბრისთვის, გაიზრდება ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობა.

სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა: ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით

სავარაუდო ბიუჯეტი: 100 000 ლარი

ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;
- პარტნიორების რაოდენობა ერთობლივი პროგრამებისთვის;
- ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობა;
- სტუდენტთა რაოდენობა.

### 3.2. ინოვაციური კურიკულუმები და მათი განხორციელება

აქტივობები:

- 2020 წლის მაისისთვის, ჩამოყალიბებული იქნება ფაკულტეტებს შორის

- კოლეგიალური შემოწმების პროცესი;**
- 2020 წლის ივნისისთვის, შეფასდება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას NQF-სთან;
  - 2020 წლის ოქტომბრისთვის, შეიქმნება მრჩეველთა საბჭოები, საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის მხარდაჭერის მიზნით;
  - 2020 წლის ნოემბრისთვის, წარმოდგენილი იქნება სწავლის შედეგების შეფასების ახალ მოდელი;
  - 2021 წლის ივნისისთვის, შემუშავდება სტრატეგია "სახლში ინტერნაციონალიზაცია";
  - 2021 წლის თებერვლისთვის, შემუშავდება თვითშეფასების სისტემა პროფესორ-მასწავლებელთათვის;
  - 2021 წლის მარტისთვის, შემუშავდება შესაძლებლობების განვითარების პროგრამა განკუთვნილი ინოვაციური და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის, სწავლებისა და შეფასებისთვის;
  - 2021 წლის მაისისთვის, უზრუნველყოფილ იქნება, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, თითოეული ფაკულტეტის მიერ შემუშავებული კვლევითი წინადადებები;
  - 2021 წლის დეკემბრისთვის, დაიწყება საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა, მეტი საერთაშორისო კომპონენტის ჩართვის მიზნით;
  - 2022 წლის სექტემბრისთვის, გადაიხედება სტაჟირების მოთხოვნები და შესაძლებლობები;
  - მუდმივად განიხილება საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმები, რომლებიც რეაკრედიტაციის პროცესში იმყოფებიან.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**

ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით

**სავარაუდო ბიუჯეტი: 250 000 ლარი**

**ინდიკატორები:**

- სტუდენტთა კმაყოფილება;
- სასწავლო პროგრამების რაოდენობის NQF-თან შესაბამისობა;
- გადახედილი საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმების რაოდენობა;
- სასწავლო პროგრამების რაოდენობა, რომელსაც გააჩნია სპეციალური საერთაშორისო კომპონენტი;
- ინოვაციაზე ორიენტირებული სასწავლო შესაძლებლობების გაძლიერებაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებელთა პროცენტული მაჩვენებელი;
- პროგრამების აკრედიტაციის წარმატებით გავლის პროცენტული მაჩვენებელი;
- პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მომზადებული თვითშეფასების პროცენტული მაჩვენებელი.

### 3.3. საგანმანათლებლო შეთავაზებების გაფართოება

#### აქტივობები:

- 2021 წლის ივნისისთვის, შეფასდება ონლაინ და დისტანციური სწავლის განხორციელების შესაძლებლობები;
- 2021 წლის მაისისთვის, შემუშავდება კონცეფცია, უწყვეტი განათლების შეთავაზებების შესახებ;
- 2021 წლის დეკემბრისთვის, გაფართოვდება უწყვეტი განათლების შეთავაზებები.

#### სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:

ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით

- 2021 წლის დეკემბრისთვის, ჩატარდება მიზანშეწონილობის კვლევა სხვა ქვეყნებში კამპუსების ფილიალების დასაარსებლად;

#### სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:

რექტორი

სავარაუდო ბიუჯეტი: 100 000 ლარი

#### ინდიკატორები:

- შემუშავებული ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი;
- შემუშავებული და დამტკიცებული კონცეფცია;
- უწყვეტი განათლების შეთავაზებების რაოდენობა;
- მსმენელთა რაოდენობა, რომლებიც იყენებენ უწყვეტი განათლების შესაძლებლობებს.

#### ჯვარედინი სტრატეგიული პრიორიტეტი A:

მეტი და მაღალკვალიფიცირებული პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება

სათანადო პერსონალთან ერთად, ზრდისა და შემდგომი განვითარების მიზნით, სტრატეგიული განვითარების გეგმაში განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. პერსონალის მუშაობის ეფექტურობის შეფასების ძლიერი და მოქნილი სისტემის განვითარება;
2. პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
3. სტიმულირებისა და მოტივაციის სისტემის შემუშავება;
4. სტრატეგიულ ხედვებზე დაფუძნებული და გაუმჯობესებული რეკრუტირების სისტემის შემუშავება.

კერძოდ, 2020-2022 წლებში, სეუ მხარს დაუჭერს სტრატეგიულ ინიციატივებს შემდეგი აქტივობებით:

#### A1) პერსონალის მუშაობის ეფექტურობის შეფასების ძლიერი და მოქნილი სისტემის განვითარება

##### აქტივობები:

- 2020 წლის აპრილისთვის, გადაიხედება სამუშაო აღწერილობები, ადმინისტრაციული პერსონალისთვის და აკადემიური მმართველებისთვის;
- 2020 წლის მაისისთვის, შემუშავდება ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა;
- 2020 წლის ოქტომბრისთვის, განიხილება აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემა.

##### სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:

პერსონალის მართვის სამსახური

სავარაუდო ბიუჯეტი: 50 000 ლარი

##### ინდიკატორები:

- არსებული და განახლებული სამუშაო აღწერილობათა პროცენტული მაჩვენებელი;
- შემუშავებული და დამტკიცებული ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა;
- განხილული აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა;
- პერსონალის კმაყოფილება.

#### A2) პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა

##### აქტივობები:

- 2020 წლის ოქტომბრისთვის, განხორციელდება ადმინისტრაციული პერსონალის შესაძლებლობებისა და პროდუქტიულობის გასაფართოებლად მოთხოვნების ანალიზი;
- 2021 წლის მარტისთვის, განისაზღვრება გარე-პროფესიული განვითარების შესაფერისი კურსები;
- 2021 წლის მაისისთვის, განხორციელდება აკადემიური პერსონალის შესაძლებლობებისა და პროდუქტიულობის გასაფართოებლად მოთხოვნების ანალიზი;
- 2021 წლის სექტემბრისთვის, სისტემატიური სახით დაუკავშირდება ერთმანეთს პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების შეფასება და პროფესიული განვითარების კურსების შეთავაზებები;



- 2021 წლის დეკემბრისთვის, შემუშავდება შიდა პროფესიული განვითარების კურსების კატალოგი;
- 2021 წლის ივნისისთვის, ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდება ტრენინგი კომპიუტერული და ინგლისური ენის უნარების გაუმჯობესების მიზნით;
- 2022 წლის დეკემბრისთვის, პროფესიული განვითარების კურსების გავლენის შეფასების მიზნით შემუშავდება სისტემა.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**

პერსონალის მართვის სამსახური

**სავარაუდო ბიუჯეტი:** 150 000 ლარი

**ინდიკატორები:**

- შესრულებული შესაძლებლობებისა და პროდუქტიულობის გასაფართოებელი მოთხოვნების ანალიზი;
- თანამშრომელთა კმაყოფილების დონე;
- შეთავაზებული პროფესიული განვითარების შიდა კურსების რაოდენობა;
- გარე პარტნიორების მიერ შეთავაზებული პროფესიული განვითარების კურსების რაოდენობა;
- შემუშავებული გავლენის შეფასების სისტემა;
- სტუდენტთა კმაყოფილების დონე.

**A3) სტიმულირებისა და მოტივაციის სისტემის შემუშავება**

**აქტივობები:**

- 2020 წლის სექტემბრისთვის, გაანალიზდება პერსონალის მოსაზრებები პოტენციური წახალისებისა და მოტივაციის სისტემის შესახებ;
- 2020 წლის დეკემბრისთვის, ჩატარდება წამახალისებელი და მოტივაციის სისტემის განხორციელების ეფექტურობის ანალიზი;
- 2021 წლის ივლისისთვის, წარმოდგენილ იქნება ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილი სტიმულირებისა და მოტივაციის მექანიზმი;
- 2022 წლის ივნისისთვის, წარმოდგენილ იქნება აკადემიური პერსონალისთვის განკუთვნილი სტიმულირებისა და მოტივაციის მექანიზმი.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**

პერსონალის მართვის სამსახური

- 2021 წლის მარტისთვის, შემუშავდება სახელფასო ზადის სისტემა აკადემიური პერსონალისთვის;
- 2021 წლის მარტისთვის, შემუშავდება სახელფასო ზადის სისტემა



## ადმინისტრაციული პერსონალისთვის;

სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:  
ვიცე-რექტორი ფინანსებისა და რესურსების მიმართულებით

სავარაუდო ბიუჯეტი: 250 000 ლარი

### ინდიკატორები:

- პერსონალის მოსაზრებათა ანალიზი;
- შემუშავებული და დამტკიცებული სახელფასო ბადე;
- შემუშავებული და დამტკიცებული წამახალისებელი სისტემები;
- თანამშრომელთა კმაყოფილების დონე.

A4) სტრატეგიულ ხედვებზე დაფუძნებული და გაუმჯობესებული რეკრუტირების სისტემის შემუშავება

### აქტივობები:

- 2020 წლის მარტისთვის, გაანალიზდება სისტემა აკადემიური პერსონალის დაქირავების მიზნით;
- 2020 წლის მაისისთვის, განიხილება აკადემიური პერსონალის დაქირავების სისტემა;
- 2020 წლის ივნისისთვის, გაანალიზდება ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებები;
- 2020 წლის ივლისისთვის, განიხილება სამუშაოს აღწერილობები ყველა თანამდებობისთვის;
- 2020 წლის აგვისტოსთვის, დაიწყება ადმინისტრაციული პერსონალის რეკრუტინგი;
- 2020 წლის სექტემბრისთვის, ახალ თანამდებობებზე მყოფი პერსონალისთვის მოხდება კონკრეტული საორიენტაციო პროგრამების შეთავაზება;
- 2021 წლის ივნისისთვის, შემუშავდება ტალანტების მართვის კონცეფცია;
- 2021 წლის სექტემბრისთვის, გაიზრდება აფილირებული პერსონალის პროპორცია მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
- 2022 წლის სექტემბრისთვის, გაიზრდება დოქტორის ხარისხის მფლობელთა პროპორცია მთლიან აკადემიურ კორპუსში;
- საჭიროების შესაბამისად, სისტემატიურად განხორციელდება აკადემიური პერსონალის რეკრუტინგი.

სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:  
პერსონალის მართვის სამსახური

სავარაუდო ბიუჯეტი: 200 000 ლარი

**ინდიკატორები:**

- თანამშრომელთა კმაყოფილების დონე;
- ადმინისტრაციული პერსონალის სტუდენტებთან თანაფარდობის დონე;
- აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან თანაფარდობის დონე;
- ავილირებული პერსონალის მოწვეულ პერსონალთან თანაფარდობის დონე;
- დოქტორის ხარისხის მფლობელთა პროცენტული მაჩვენებელი.

**ჯვარედინი სტრატეგიული პრიორიტეტი B:**

**მართვის გაძლიერება**

შემდგომი განვითარების გაუმჯობესების მიზნით, სტრატეგიული განვითარების გეგმაში გამოიყო შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის სისტემატიზაცია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება და ხარისხის კულტურის დანერგვა;
3. დაინტერესებულ მხარეთათვის საუკეთესო სერვისების მიწოდება;
4. შემოსავლების ნაკადების მდგრადი დივერსიფიკაცია.

კერძოდ, 2020-2022 წლებში, სეუ სტრატეგიულ ინიციატივებს დაუჭერს მხარს შემდგომი ქმედებებით:

**B1) ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის სისტემატიზაცია**

**აქტივობები:**

- 2020 წლის თებერვლისთვის, შეფასდება მიმდინარე ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობა;
- 2020 წლის მარტისთვის, ჩამოყალიბდება სტრუქტურული ერთეულებისა და ხელმძღვანელობის რეგულარული შეხვედრების სისტემა;
- 2020 წლის აპრილისთვის, განიხილება ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ვიცე-რექტორების პოზიციების შექმნა;
- 2020 წლის აპრილისთვის, უზრუნველყოფილ იქნება ყველა ოპერაციის მართვა შესაფერისი და თანამედროვე პროცედურებით;
- 2020 წლის აპრილისთვის, განიხილება აკადემიური ორგანოები და მათ ფუნქციები;
- 2020 წლის აპრილისთვის, შემუშავდება თანმიმდევრული მიდგომა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის დაგეგმვისთვის;

- 2020 წლის მაისისთვის, განიხილება აკადემიური გადაწყვეტილების მიღების პროცესები;
- 2020 წლის მაისისთვის, გადაიხედება დავალებებისა და პასუხისმგებლობის განაწილება;
- 2020 წლის მაისისთვის, გადაიხედება ფაკულტეტების საბჭოების ფუნქციები;
- 2020 წლის ივნისისთვის, განხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის პროფესიონალიზაცია;
- 2020 წლის ივნისისთვის, გაძლიერდება სტუდენტების მონაწილეობა მმართველობაში;
- 2020 წლის ივლისისთვის, სრულად დაინერგება ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა;
- 2020 წლის სექტემბრისთვის, ანგარიშგებისა და უკუკავშირისთვის შემუშავდება სისტემური მიდგომა;
- 2021 წლის ოქტომბრისთვის, დაარსდება მრჩეველთა საბჭო;
- 2021 წლის თებერვლისთვის, შემუშავდება სისტემური მიდგომა მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გამოყენებისთვის;
- 2021 წლის ივნისისთვის, შემუშავდება შიდა კომუნიკაციების სტრატეგია;
- 2021 წლის ოქტომბრისთვის, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი დასაქმებული პერსონალისთვის მოხდება სპეციალური მენეჯმენტის ტრენინგის შეთავაზება;
- 2022 წლის აპრილისთვის, პერსონალისთვის განხორციელდება პროექტის მენეჯმენტის ტრენინგის შეთავაზება;
- 2022 წლის ივნისისთვის, განიხილება და გადაიხედება მართვის სისტემა.

სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:  
რექტორი

სავარაუდო ბიუჯეტი: 150 000 ლარი

ინდიკატორები:

- ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება და განხორციელება;
- განახლებული პროცედურების პროცენტული მაჩვენებელი;
- აკადემიური გადაწყვეტილებების მიღების განახლებული სისტემა;
- შემუშავებული ანგარიშგების სისტემა;
- თანამშრომელთა კმაყოფილების დონე;
- ფაკულტეტის საბჭოების რაოდენობა;
- მრჩეველთა საბჭო.

## B2) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება და ხარისხის კულტურის დანერგვა

### აქტივობები:

- 2020 წლის ივნისისთვის, შეფასდება ამჟამინდელი ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო;
- 2020 წლის ივნისისთვის, შემუშავდება ერთიანი კონცეფცია ხელახალი ავტორიზაციის პროცესის მოსამზადებლად, თვითშეფასების ჩარჩოს ჩათვლით;
- 2020 წლის მარტისთვის, ჩატარდება ტრენინგები თვითშეფასების მომზადების მეთოდოლოგიაზე;
- 2020 წლის აპრილისთვის, შეიქმნება ახალი მიდგომა ინსტიტუციონალური ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, კვლევისა და საზოგადოების მომსახურებისთვის;
- 2020 წლის აპრილისთვის, შემუშავდება თანმიმდევრული მიდგომა კვლევისა და მათი შემდგომი დაკვირვების მიზნით;
- 2020 წლის მაისისთვის, შეიქმნება ახალი მიდგომა სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით;
- 2020 წლის მაისისთვის, განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და პროცედურები;
- 2020 წლის ივნისისთვის, შემუშავდება სისტემა, სტრუქტურულ ერთეულთა მიერ სამუშაოს შესრულების პროცესის შესაფასებლად;
- 2020 წლის ივნისისთვის, უზრუნველყოფილი იქნება გაუმჯობესების მიზნით გაცემული რეკომენდაციების განხილვისა და შესრულებისადმი სისტემური მიდგომა;
- 2020 წლის ივლისისთვის, მთელი პერსონალისთვის დაიწყება ხარისხისა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეგულარული ვორკშოპების (სემინარების) და ტრენინგების ორგანიზება;
- 2020 წლის აგვისტოსთვის, შემუშავდება ინსტიტუციონალური KPI-ი;
- 2020 წლის სექტემბრისთვის, შემუშავდება სისტემური მიდგომა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მიზნით;
- 2020 წლის ოქტომბრისთვის, შემუშავდება კონცეფცია შიდა და გარე შეფასებისთვის;
- 2020 წლის სექტემბრისთვის, შემუშავდება სისტემა ოპერაციების რეგულარული გარე შეფასებისთვის;
- 2020 წლის დეკემბრისთვის, უზრუნველყოფილი იქნება შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების სრული ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;
- 2021 წლის ივნისისთვის, დაიწყება შიდა ბენჩმარკინგი;
- 2021 წლის აპრილისთვის, დამყარდება პარტნიორობა გარე ბენჩმარკინგისთვის;

- 2021 წლის მარტისთვის, შემუშავდება კონცეფცია მთელ დაწესებულებაში ხარისხის კულტურის განვითარებისათვის;
- 2021 წლის მარტისთვის, შემუშავდება მეთოდოლოგია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტურობის შეფასების მიზნით;
- 2021 წლის მარტისთვის, შემუშავდება სისტემა საზოგადოების მომსახურების აქტივობათა გავლენის შეფასების მიზნით;
- სისტემატიურად ჩატარდება აკრედიტაციისთვის მომზადებასთან დაკავშირებული ტრენინგები.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**

ხარისხის განვითარების დეპარტამენტი

**სავარაუდო ბიუჯეტი:** 150 000 ლარი

**ინდიკატორები:**

- ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ჩარჩო;
- განხილული პროცესები და პროცედურები;
- შემუშავებული KPI-ების სისტემა;
- შემუშავებული სისტემა შიდა შეფასებისთვის;
- KPI-ის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება გარე შეფასებისთვის;
- ხელახალი ავტორიზაციის შედეგი;
- წარმატებით აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა;
- დანერგილი რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი.

**B3) დაინტერესებული მხარეთათვის საუკეთესო სერვისების მიწოდება**

**აქტივობები:**

- 2021 წლის მარტისთვის, შემუშავდება ერთიანი საინფორმაციო ცენტრის პლატფორმა;
- 2020 წლის სექტემბრისთვის, ჩატარდება მომსახურების ყოვლისმომცველი შეფასება;
- 2021 წლის დეკემბრისთვის, ჩამოყალიბდება დაინტერესებული მხარის ხელმძღვანელობით სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს ახალ წინადადებებს მომსახურების მიწოდებისთვის;
- 2022 წლის თებერვლისთვის, შემუშავდება მომსახურების მიწოდების ახალი მიდგომა, მათ შორის, დისტანციური გზით;
- 2022 წლის ივნისისთვის, შემუშავდება ანგარიშგების-შეფასების სისტემა IT დეპარტამენტისთვის.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**

ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით



სავარაუდო ბიუჯეტი: 80 000 ლარი

ინდიკატორები:

- სტუდენტების კმაყოფილება;
- პერსონალის კმაყოფილება;
- დაინტერესებული მხარის კმაყოფილება (კომპანიები);
- მომსახურების მოთხოვნათა შესრულების დრო;
- შექმნილი ახალი პორტალები.

**B4) შემოსავლების ნაკადების მდგრადი დივერსიფიკაცია**

აქტივობები:

- 2020 წლის მარტისთვის, შემუშავდება ფინანსური მართვის ახალი სისტემა;
- 2021 წლის აპრილისთვის, შემუშავდება სტრატეგია შემოსავლების ნაკადის დივერსიფიკაციისთვის;
- 2021 წლის ივნისისთვის, შემუშავდება სისტემატიური მიდგომა მესამე მხარის დაფინანსების მოზიდვის მიზნით.

სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:  
ფინანსური მართვისა და აღრიცხვის სამსახური

სავარაუდო ბიუჯეტი: 100 000 ლარი

ინდიკატორები:

- შემუშავებული ფინანსური მართვის სისტემა;
- შემუშავებული და დამტკიცებული დივერსიფიკაციისთვის განკუთვნილი სტრატეგია;
- მესამე მხარის დაფინანსებით მიღებული შემოსავლის წილი;
- სხვადასხვა შემოსავლის ნაკადის პროცენტული მაჩვენებელი.

**ჯვარედინი სტრატეგიული პრიორიტეტი C:**

**მრავალფეროვანი სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა**

ინოვაციისა და წინსვლისთვის ხელსაყრელი გარემოს შემუშავების მიზნით, სტრატეგიული განვითარების გეგმაში გამოიყო შემდეგი სტრატეგიული ინიციატივები:

1. სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
2. განვითარების სტრატეგის შესაბამისად უნივერსიტეტის თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფა;



### 3. ერთიანობის განცდის შექმნა, რომელიც ასტიმულირებს და ასაზრდოებს სწავლებასა და ხარისხს.

კერძოდ, 2020-2022 წლებში, სეუ მხარს დაუჭერს სტრატეგიულ ინიციატივებს შემდეგი აქტივობებით:

#### C1) სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა

##### აქტივობები:

- 2021 წლის დეკემბრისთვის, ჩატარდება სასწავლო და კვლევითი გარემოს მოთხოვნათა ანალიზი;
- 2020 წლის ოქტომბრისთვის, შემუშავდება კონცეფცია ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენების შეფასების მიზნით;
- სისტემატიურად განახლდება ბიბლიოთეკის რესურსები;
- 2021 წლის სექტემბრისთვის, შემუშავდება ინფრასტრუქტურის მართვის გეგმა;
- 2021 წლის დეკემბრისთვის, განახლდება სარეკრეაციო ობიექტები;
- 2021 წლის ივნისისთვის, შეიქმნება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების საშუალებები;
- 2021 წლის დეკემბრისთვის, შეიქმნება კონცეფცია უნივერსიტეტის კლინიკისათვის;
- 2022 წლის მარტისთვის, გაფართოვდება სტუდენტური საერთო საცხოვრებელი;
- 2022 წლის ივნისისთვის, შეფასდება და განახლდება IT-ს ინფრასტრუქტურა.

#### სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:

აქტივობის მართვის მენეჯერი

სავარაუდო ბიუჯეტი: 1 500 000 ლარი

##### ინდიკატორები:

- განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტთა კმაყოფილება;
- სტუდენტების კმაყოფილება;
- თანამშრომელთა კმაყოფილება;
- ბიბლიოთეკის რესურსების რაოდენობა;
- ანალიტიკური ანგარიში სწავლისა და კვლევის გარემოს საჭიროებების შესახებ;
- საბიბლიოთეკო რესურსების რაოდენობა.

#### C2) განვითარების სტრატეგის შესაბამისად უნივერსიტეტის თანამედროვე

აღჭურვილობით უზრუნველყოფა

##### აქტივობები:

- 2020 წლის სექტემბრისთვის, შემუშავდება ელექტრონული დაჯავშნის სისტემა აუდიტორიებისა და ჯგუფური სამუშაო ოთახებისთვის;
- 2020 წლის დეკემბრისთვის, უზრუნველყოფილ იქნება მთელი დაწესებულების WiFi-ით სრული დაფარვა;
- 2021 წლის დეკემბრისთვის, შემუშავდება HR ინფორმაციის ელექტრონული სისტემა;
- 2022 წლის მაისისთვის, განიხილება და გადაიხედება სასწავლო პროცესის მართვის სისტემა;
- 2022 წლის ივნისისთვის, შეიქმნება ელექტრონული დაჯავშნის სისტემა საერთო საცხოვრებლისთვის.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

**სავარაუდო ბიუჯეტი: 180 000 ლარი**

**ინდიკატორები:**

- შექმნილი დაჯავშნის სისტემები;
- პერსონალის კმაყოფილება;
- სტუდენტთა კმაყოფილება.

**C3) ერთიანობის განცდის შექმნა, რომელიც ასტიმულირებს და ასაზრდოებს სწავლებასა და ხარისხს**

**აქტივობები:**

- 2020 წლის მაისისთვის, უზრუნველყოფილ იქნება პროფესიონალური „ქოუჩინგი“ და რჩევები ცვლილებების მართვის კუთხით ადმინისტრაციული ხელმძღვანელობისთვის;
- 2021 წლის ივნისისთვის, შემუშავდება „თიმბილდინგის“ კონცეფცია;
- 2021 წლის მარტისთვის, შემუშავდება გეგმები რეგულარული შიდა სოციალური ღონისძიებებისთვის;
- 2021 წლის ივნისისთვის, დაარსდება დაინტერესებული მხარის ხელმძღვანელობით სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს საზოგადოებაში აღქმის გაუმჯობესების სტრატეგიას.

**სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:**

ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით

- 2020 წლის სექტემბრისთვის, აკადემიური პერსონალისთვის და პროგრამის ხელმძღვანელებისთვის ჩატარდება ტრენინგები სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებთან დაკავშირებით.

სტრატეგიული ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა:  
ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით

სავარაუდო ბიუჯეტი: 100 000 ლარი

ინდიკატორები:

- პერსონალის კმაყოფილება;
- სტუდენტთა კმაყოფილება;
- ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა;
- „თიმბილდინგი“-ს კონცეფციის შემუშავება;
- შემუშავებული სტრატეგია საზოგადოებაში საკუთარი თავის აღქმის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.